REVIEW რეცენზია

ქეთევან ახობაძე

გივი ლობჟანიძის წიგნის „რომის სამართლის“ პრეზენტაცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე პროფესორ გივი ლობჟანიძის წიგნის „რომის სამართლის“ პრეზენტაცია მოეწყო.

გივი ლობჟანიძის წიგნი „რომის სამართალი“, ქუთაისი, 2024, 448 გვ. რედაქტორი: პროფესორი ლადო ჭანტურია; რეცენზენტები: პროფესორები - რომან შენგელია, ვალერი ხრუსტალი, ალექსანდრე ტალიაშვილი, საგამომცემლო ცენტრი, ISBN 978-9941-9932-0-6 - ეძღვნება რომის სამართლის წყაროებსა და უახლოეს პერიოდში გამოცემულ ლიტერატურას, მანამდე ქართულად გამოქვეყნებული მასალების შეფასებას. კვლევის შედარებითი მეთოდის გამოყენებით, ავტორის მიერ ჩამოყალიბებულია ახალი მიდგომა იმ საკითხების წარმოსაჩენად, რომელიც რომაული სამართლის რეცეფციამ ისტორიულად განაპირობა ქართული სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების ფორმირების პროცესში.

წიგნის რედაქტორი ცნობილი იურისტი, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, პროფესორი **ლადო ჭანტურიაა,** რა წიგნის საგნობრივ ხარისხობრივ სტანდარტს ადასტურებს. ხოლო ავტორიტეტული სპეციალისტები და რეცენზენტები - **რომან შენგელია, ვალერი ხრუსტალი, ალექსანდრე ტალიაშვილი**, იმას ნიშნავს, რომ ტექსტი აკადემიურად მაღალი დონისაა.

წინათქმა, სადაც ვკითხულობთ: „პროფესორ გივი ლობჟანიძის ქართული იურიდიული საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება, როგორც მრავალრიცხოვანი მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორს, ქართველი იურისტები მას ბრწყინვალედ იცნობენ და დიდი პატივისცემით აღიარებენ. გივი ლობჟანიძის შემოქმედება ყოველთვის გამოირჩევა ორიგინალობითა და კვლევის სიღრმით, ამიტომ დიდი სიამოვნებით დავეთანხმე შემოთავაზებას, ვყოფილიყავი მისი ახალი წიგნის „რომის სამართლის“ რედაქტორი. რომის სამართალი იურისტების შთაგონების წყაროა. მართალია, ბატონი გივი რომ ჩვენ „ვალში ვართ რომაელი იურისტებისა და იმპერატორ იუსტინიანეს წინაშე და ამ ვალის გადახდა ხდება რომის სამართლის საფუძვლიანი შესწავლით“. ამის შესაძლებლობას იძლევა წინამდებარე სახელმძღვანელო.

პროფესორ გივი ლობჟანიძის „რომის სამართალი“ ეძღვნება რომის სამართლის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ინსტიტუტს, რომელთაც აქტუალობა არც თანამედროვე სამართალში დაუკარგავთ, როგორიცაა, მაგალითად, სამართლის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლად. გარდა ამისა, ნაშრომი შეესაბამება დადგენილ სასწავლო პროგრამებს და დიდ სამსახურს გაუწევს პროფესორ-მასწავლებლებს, უმაღლეს სასწავლებლებში რომის

სამართლის კურსს რომ უძღვებიან. კვლევა ასევე საყურადღებოა რომის სამართლით დაინტერესებული მკვლევარებისათვის“[1].

როგორც ცნობილია, რომის სამართალი დღესაც სამოქალაქო სამართლის საფუძველია და ევროპის ქვეყნებში ვალდებულებით და საკუთრების საკითხებზე, კერძო სამართლის ძირითადი წყაროა. გივი ლობჟანიძის სიტყვებით რომ გამოვხატოთ: „ძველი რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისადმი ინტერესი დღემდე არ განელებულა. ამის მიზეზად მიგვაჩნია არა მარტო საქართველოს უძველესი კავშირები ელინურ და ძველ რომაულ კულტურასთან, არამედ რომის სამოქალაქო სამართლის დიდი დამსახურება შემდგომი პერიოდის მსოფლიო სამართლებრივი აზროვნების ჩამოყალიბების პროცესში“[2].

გივი ლობჟანიძე სკრუპულოზურად ტრადიციულ სტრუქტურას მიჰყვება და წიგნს შემდეგნაირად აგებს: შესავალი, ზოგადი ნაწილი, პირველი ნაწილი - საჯარო სამართალი, რომელიც ექვსი თავისგან შედგება და ნაწილი მეორე - კერძო (სამოქალაქო) სამართალი, რომელიც ათ თავს შეიცავს:

1.ზოგადი ნაწილი: თერთმეტ პარაგრაფს მოიცავს;

2.ნაწილი პირველი, საჯარო სამართალი, რომლის ექვსი თავი თავისთავად, პარაგრაფებადაა დაყოფილი:

-ფორმალური სამართლის წარმოშობა;

-იურიდიული მეცნიერების განვითარება პოსტკლასიკურ პერიოდში;

-სასამართლო ხელისუფლება და პროცესი რომის სახელმწიფოში;

-სისხლის სამართალი;

-რომის საფინანსო სამართალი;

-რომის სამხედრო სამართლის ძირითადი ინსტიტუტები;

3.ნაწილი მეორე - რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, ათი თავისგან შედგება, რომლების პარაგრაფებად არის გაშლილი:

-ფიზიკური და იურიდიული პირები რომის სამართალში;

-საოჯახო და საქორწინო სამართალი;

-მეურვეობა და მზრუნველობა;

-მემკვიდრეობითი სამართალი;

-სანივთო (ქონებრივი) სამართალი;

-საკუთრების სამართალი;

-ვალდებულებითი სამართალი;

-სახელშეკრულებო სამართალი;

-დელიქტები, როგორც ვალდებულებათა წყაროები;

-ვალდებულებების შესრულება.

წიგნი იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისთვის, პრაქტიკოს იურისტებისთვის და ზოგადად, იმ მკითხველისთვისაა განკუთვნილი, ვისაც რომის სამართლის ცოდნა სურს. ის საუკეთესო სახელმძღვანელოა, რადგან რომის კერძო სამართლის კლასიკურ საკითხებს: სამართლის წყაროებს, სუბიექტებს, საკუთრების, უფლებების, სამართალწარმოების წესებს და ა.შ. ასახავს.

1 ლობჟანიძე გ. 2024, გვ. 3.

2 ლობჟანიძე გ. 2024, გვ. 5.

ავტორი შესავალ და ზოგად ნაწილში რამდენიმე ძირითად საკითხს ხსნის: სამართლის ისტორიული განვითარების გზას აჩვენებს, რომის სამართლის მნიშვნელობასა და როლს ეხება თანამედროვე სამართალში და ა.შ. ის ხაზს უსვამს, რომ რომის სამართალი მხოლოდ ისტორიული წარსულის შესასწავლი დისციპლინა კი არ არის, არამედ თანამედროვე სამოქალაქო კოდექსის გასაგებად სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია (გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ევროპული ქვეყნების სამართალში). შესავალში გ. ლობჟანიძე რომის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეტაპებს, სამართლის წყაროების ევოლუციას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხება.

„რომის სამართალი გამოირჩევა რიგი ინსტიტუციების ღრმა და მაღალ დონეზე დამუშავებით. ზუსტი ფორმულირებით, მაღალი იურიდიული ტექნიკით, ასე, რომ რომის სამოქალაქო სამართალმა პრიმიტივიზმიდან განვითარების მაღალ კლასიკურ დონეს მიაღწია“[3].

მსგავსი შეფასება აქვს გერმანელ პროფესორს **რ.ზიმერმანს** (ციმერმანი), რომელმაც 1996 წელს გამოსცა წიგნი - Zimmermann, R. (1996). *The Law of Obligations: Roman Foundations of the Civilian Tradition*. Oxford: Oxford University Press და აღწერს რომის სამართლის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას და იხილავს მის გავლენას თანამედროვე იურიდიულ პრაქტიკაზე[4]. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საინტერესო კვლევა მიუძღვნა რომის სამართლის ისტორიას ბრიტანელმა იურისტმა **პეტერ სტეინმა** (1926-2016) თავის ნაშრომში - „Roman Law in European History. Cambridge: Cambridge University Press“[5].

წიგნის რეცენზენტის პროფესორ **ვალერი ხრუსტალის** თვალსაზრისით, რომის სამართალი კაცობრიობის ცივილიზაციაში ფუნდამენტურ განძად მანამდე დარჩება, ვიდრე თვით კაცობრიობა იარსებებს. არსებობს გამონათქვამი, რომლის მიხედვითაც რომმა სამჯერ დაიპყრო მსოფლიო: პირველად, თავისი ლეგიონებით, მეორედ, ქრისტიანობის მიღებით და მესამედ, როცა ფეოდალური ევროპის მიერ რომის სამართლის რეცეფცია მოხდა, საიდანაც მრავალმა ცივილიზებულმა სახელმწიფომ, თავისი ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობას, რეცეფცირებული რომის სამართალი საფუძვლად დაუდო.

რომის სამართალი ყველაზე სრულყოფილ სამართლებრივ სისტემადაა მიჩნეული, რომელმაც განუზომელი როლი შეასრულა სამართლის მსოფლიო ისტორიაში და რომელიც, ცალკეული იურიდიული კატეგორიის ცნებათა საოცარი სიზუსტით, ცალკეულ საგნობრივ ინსტიტუტთა კვლევის სიღრმითა და იურიდიულის ტექნიკის გასაოცრად მაღალი დონით გამოირჩევა. რომის სამართლის სიდიადესა და მნიშვნელობაზე, როდესაც ვმსჯელობთ, ყურადღებიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ რომის

3 ლობჟანიძე 2024, გვ.12.

4 Zimmermann, R. 1996. მან 2002 წელს ასევე გამოაქვეყნა სტატია - «Roman Law, Contemporary Law, European Law: The Civilian Tradition Today»

5 Stein, P. (1999). *Roman Law in European History*. Cambridge: Cambridge University Press./https://docs.yandex.ru/docs/view?tm=1753622316&tld=ru&lang=en&name=0521643724.Cambridge.University.Press.Roman.Law.in.European.History.May.1999.pdf&text=.Cambridge.University.Press.Roma

სამართლიდან, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციის ფუნდამენტური განძიდან, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა რომის კერძო სამართალს, ანუ რომის სამოქალაქო სამართალს. მართალია, დიდად მნიშვნელოვანია რომაული საჯარო სამართალიც (განსაკუთრებით კი სახელმწიფო სამართალი), მაგრამ სამოქალაქო სამართალთან შედარებით, რომის საჯარო სამართლის სხვადასხვა დარგი მოკრძალებულად გამოიყურება.

წიგნის პრეზენტაციაზე, ვ. ხრუსტალის მიერ როგორც აღინიშნა, რომ რომის სამოქალაქო სამართლის სიდიადე და მნიშვნელობა განუზომელია, მაგრამ დღევანდელი იურისტებისთვის, განსაკუთრებულ ყურადღებას სამი მთავარი სამართლებრივი ინსტიტუტის დეტალური რეგლამენტაცია იპყრობს: 1. შეუზღუდავი, ინდივიდუალური კერძო საკუთრების ინსტიტუტი; 2. ხელშეკრულების ინსტიტუტი და 3. ზოგადი მოძღვრება ვალდებულებათა შესახებ.

წიგნის ზოგად ნაწილში ავტორი ყურადღებას ამახვილებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ძველი რომის სამართლის საგანი და მეთოდი. რომის სამართლის წყაროები; რომის სახელმწიფოსა და სამართლის პერიოდიზაცია; იტალია რომის დაარსების პერიოდში; საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობები ადრეულ რომში; გვაროვნული წყობილება და მისი მოშლა; სერვიუს ტულიუსის რეფორმები; სამხედრო დემოკრატიის დასასრული და გვაროვნული სამართლის ზოგადი პრინციპები.

რაც შეეხება წიგნის პირველ ნაწილს, გივი ლობჟანიძე სკრუპულოზურად აღწერს საჯარო სამართლის წარმოშობის და განვითრების გზას. განასხვავებს ადათებსა და კანონებს შორის, გვაცნობს XII ტაბულის კანონის შექმნის ისტორიას, ხსნის ქცევის წესების განვითარების უძველეს ეტაპებს და სხვადასხვა წყაროს დამოწმებით ამ განსხვავებაზე აზრთა სხვადასხვაობას წარმოგვიდგენს და ა.შ.

როგორც აღვნიშნე, ავტორის მიერ სიღრმისეულად არის გამოკვლეული რომის საჯარო სამართალი. კერძოდ, ჩვეულებითი სამართლის ჩამოყალიბება; XII ტაბულის კანონები; იურიდიული მეცნიერების განვითარება კლასიკური პოსტკლასიკურ პერიოდში (მათ შორის - რომაული სამართლის „კოდიფიკაციის“ დასაწყისი და იუსტინიანეს კოდიფიკაცია); სასამართლო ხელისუფლება და პროცესი რომის სახელმწიფოში; სისხლის სამართალი; რომის საფინანსო სამართალი და რომის სამხედრო სამართლის ძირითადი ინსტიტუტები.

განსაკუთრებით საინტერესოა და ყურადღების ღირსია წიგნის მეორე ნაწილი, რომელიც რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალს ეხება. ავტორი დეტალურად აანალიზებს ისეთ უმნიშვნელოვანესს თემებს, როგორიცაა: ფიზიკური და იურიდიული პირები რომის სამართალში; საქორწინო და საოჯახო სამართალი; მეურვეობა და მზრუნველობა; მემკვიდრეობითი სამართალი; სანივთო (ქონებრივი) სამართალი; საკუთრების სამართალი; ვალდებულებითი სამართალი; სახელშეკრულებო სამართალი და დელიქტები, როგორც ვალდებულებათა წყაროები.

მაინც რა არის კერძო სამართალი რომის ტრადიციაში. თუ ამ ჭრილში შევხედავთ, ცნობილია რომ რომაელები თავიდანვე არჩევდნენ - ***Ius Publicum***-ს ანუ საჯარო სამართალს, რომელიც სახელმწიფოს და მის სტრუქტურას, სამოქალაქო წესრიგს ეხებოდა და ***Ius Privatum***-ს, კერძო სამართალს, რომელიც პირებს შორის ურთიერთობას აწესრიგებდა: ოჯახი, მემკვიდრეობა, საკუთრება, ვალდებულებები, კონტრაქტები. კერძო სამართლის პრინციპი იყო პირადი უფლებების დაცვა, საკუთრების პატივისცემა, სავალდებულო ურთიერთობების მკაფიო წესი.

მეორე ნაწილში გივი ლობჟანიძე შესანიშნავად აღწერს, როგორ ჩამოაყალიბეს რომაელებმა ის დოგმატური კატეგორიები, რომლებიც დღემდე სახვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსში გვხვდება და რომლის ფუნდამენტური ამოცანაა: საკუთრების უფლებების დაცვა, გარიგებათა სანდოობის უზრუნველყოფა, პირადი თავისუფლების პრონციპი, პასუხისმგებლობის წესების დადგენა (დაზიანება, ზიანის ანაზღაურება, დელიქტი).

რომის სამართალი რიგი ინსტიტუტების ღრმა და მაღალ დონეზე დამუშავებით, ზუსტი ფორმულირებით, მაღალი იურიდიული ტექნიკით გამოირჩევა. წიგნში სისტემურ ჭრილშია ძველი რომის სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი წარმოდგენილი, რადგანაც სახელმწიფო სამართლის გარეშე არ არსებობს და პირიქით, ეს ძალიან კარგად ესმოდათ ძველ რომაელებს. „სახელმწიფო სამართლიანობის გარეშე სხვა არაფერია, თუ არა - „ყაჩაღთა კრებული“, თავის დროზე აღნიშნავდა ავგუსტინე. ამასთან დაკავშირებით ყურადღება გადატანილია იმ კონკრეტულ მახასიათელებზე, რაც გააჩნია რომის პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებას და განვითარებას.

ამიტომ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ რომაული სამართლის მოდელი - ევროპული სამართლის წინამორბედია. რომაელ იურისტთა აზროვნება მკაცრად ლოგიკური და დოგმატური იყო. გივი ლობჟანიძე წიგნის მეორე ნაწილში რომის კერძო სამართლის სისტემას იმგვარად ხსნის, რომ თანამედროვე იურისტმა საკუთრების, ვალდებულების, პასუხისმგებლობის და სამართლის აღსრულების საერთო პრინციპები დაინახოს და სამაგალითოდ გაიაზროს.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ წიგნზე მუშაობისას გივი ლობჟანიძეს გამოყენებული აქვს სამეცნიერო წყაროები, ასევე, მრავალრიცხოვანი ქართული და უცხოური ლიტერატურა. წიგნში „რომის სამართალი“, ავტორის მსჯელობა ლოგიკურად არის განვითარებული, ძირითადი დებულებები დადასტურებულია ავტორიტეტული წყაროებით. კვლევის დიალექტიკური ფორმალურ-იურიდიული, სისტემური და ისტორიულ-შედარებითი მეთოდების გამოყენებით ჩამოყალიბებულია ახალი მიდგომები იმ საკითხების წარმოსაჩენად, რომლებიც რომაული სამართლის რეცეფციამ ისტორიულად განაპირობა ქართული სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების ფორმირების პროცესში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაშრომი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და რომის სამართლით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

წიგნი სახელმძღვანელოდ და გამოსაცემად რეკომენდებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის საბჭოსა და საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის მიერ.

თავად ავტორი, პროფ. გ. ლობჟანიძე წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „ძველი რომის სამართლის სწავლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართლის ფაკულტეტებისა და სკოლების სტუდენტებისათვის, გამომდინარე აქედან, საქართველოს საგამანათლებლო სისტემა ყველა დროში ყურადღებას აქცევდა რომის სახელმწიფოსა და მისი სამართლის შესწავლის საქმეს. თავის დროზე რომის სამართალი დიდი აღმოჩენა იყო კაცობრიობისათვის, რადგანაც მანამდე არსებულ სამართლებრივ წყაროებთან შედარებით უაღრესად წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. რომაელმა იურისტებმა შეძლეს საჯარო და კერძო სამართლის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, მათივე დამსახურებაა სახალხო-საერთაშორისო სამართლის საფუძვლების ჩაყრა, რამაც შემდგომში უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო სამართლის ისტორიაში, რომის სამართლის გავლენა რეცეფციის გზით დიდი იყო მთელი ევროპის სამართალსა და მათ შორის ქართულ სამართალზეც...

ამ მიზნითაა შექმნილი წინამდებარე წიგნი-სახელმძღვანელო, რომელიც ჩვენ მიერ ადრე გამოცემული ორი წიგნის ბაზაზე შეიქმნა. მიგვაჩნია, რომ ამ სახით უფრო ეფექტიანი გახდება რომის სამართლის შესწავლა.

ძველი რომის სახელმწიფოსადა სამართლის ისტორიისადმი ინტერესი დღემდე არ განელებულა. ამის მიზეზად მიგვაჩნია არა მარტო საქართველოს უძველესი კავშირები ელინურ და ძველ რომაულ კულტურასთან, არამედ რომის სამოქალაქო სამართლის დიდი დამსახურება შემდგომი პერიოდის მსოფლიო სამართლებრივი აზროვნების ჩამოყალიბების პროცესში[6]“.

ცნობილი ფაქტია, რომ ანტიკური სამყაროს განვითარების ისტორიულ პროცესებში, სავაჭრო და კულტურულ ცხოვრებაში ქართველური მოდგმის ხალხები თავიდანვე ჩართულნი იყვნენ - წერს გივი ლობჟანიძე. ამის ნათელი დასტურია ბერძნული ახალშენები შავი ზღვის სანაპიროებზე. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქალაქები - ფაზისი, დიოსკურია (სებასტოპოლისი), ბიჭვინთა, სარაპანი, სკანდა, ვარდციხე (როდოპოლისი), უქიმერიონი, რომლებიც მაშინდელი სამყაროს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურ როლს ასრულებდნენ. „ამის მაჩვენებელია არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები. კერძოდ, ძვ. წ. აღ. II-I საუკუნეებით დათარიღებული ათი დასახელების მონეტა, რომელთა უმრავლესობა რომაული წარმომავლობისაა და ძირითადად სოხუმის ტერიტორიაზეა ნაპოვნი. მსგავსი და სხვა სახის მონეტები აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარში, ქუთაისში, აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ა.შ. ეს კი უტყუარი დასტურია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროსთან აქტიური ურთიერთობისა. ჩვ. წ. IV საუკუნეში საქართველოში კულტურის ერთ-

6 ლობჟანიძე, 2024, გვ.5.

ერთი უძველესი კერის, ფაზისის აკადემიის არსებობა თავისთავად დიდი განაცხადი იყო იმდროინდელ მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემაში“[7].

ცნობილია, რომ ამ აკადემიაში, ბიზანტიური უმაღლესი სკოლის მსგავსად, გრამატიკას, ფილოსოფიას, რიტორიკას, ვარსკვლავთმცოდნეობას, არითეტიკას ასწავლიდნენ და განათლებას ეუფლებოდნენ როგორც ადგილობრივი, ისე ბიზანტიელი მოქალაქეები. როგორც გ. ლობჟანიძე აღნიშნავს, „წყაროებით მტკიცდება ცნობილი ბერძენი რიტორების, მამა-შვილის, ევგენიოსისა და თემისტიოსის ფაზისის აკადემიაში სწავლის ფაქტი“[8].

იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოს ყურადღების ცენტრში საზღვარგარეთ არსებული ქართული უძველესი კულტურის კერებია, მაგალითად, ანტიოქიის მახლობლად, **ივერიის მონასტერი** ათონის მთაზე, **„შავი მთა“** - სირიაში, პალესტინაში - **„ჯვრის მონასტერი“**, ბულგარეთში - **პეტრიწონის მონასტერი, სინას მთის** მონასტერი იყო და სხვ.

ისინი მხოლოდ რელიგიურ ცენტრებს არ წარმოდგენდნენ. იქ, უდიდესი საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობდა და როგორც ცნობილია, „ქართველ სწავლულებს თავისი წვლილი შეჰქონდათ საკაცობრიო კულტურის საგანძურში“[9].

ბრიტანელი მკვლევრის **პ. სტეინის** თვალსაზრისით, რომის სამართალი (Ius Romanum) - ისეთი სამართლის სისტემაა, რომელიც კონტინენტური სამართლის საფუძველს წარმოადგენს, რომლის პრინციპებმა დღემდე, ევროპის და სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებში მოაღწია[10].

მოგეხსენებათ, რომ რომის სამართალს როგორც ერთიან სისტემას ერთი ავტორი არ ყოლია, ის ევოლუციურად განვითარდა. სხვაგვარად რომ გამოვხატო: ის რომაული საზოგადოების სამართლებრივი აზროვნების ევოლუციას წარმოადგენს. „რომის სამართლის სრულყოფილი ფორმულა იუსტინიანემ მოგვცა, მაგრამ მისი საფუძვლები საუკუნეების განმავლობაში პრაქტიკოსი იურისტების მიერ იყო დამუშავებული“ - აღნიშნავს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, მკვლევარი ბარი ნიკოლასი[11].

საქართველოში „რომის სამართლის“ სწავლებასთან დაკავშირებით, ავტორი აღნიშნავს: „უმაღლესი იურიდიული განათლების სისტემა თავიდანვე პასუხისმგებლობით მოეკიდა რომის სამართლის სწავლებას.

ქართველ იურისტთა შორის მშობლიურ ენაზე პირველი სისტემატიზებული ნაშრომი რომის სამართალში გამოაქვეყნა პროფესორმა ვალერიან მეტრეველმა...2001 წელს პროფნესორმა გიორგი ნადარეიშვილმა გამოსცა წიგნი სახელწოდებით „რომის სამოქალაქო სამართალი“, რომელიც „პანდექტური სისტემის მიხედვით იქნა დალაგებული“. რაც შეეხება ინსტიტუციურ სისტემას, როგორც აღნიშნავს ავტორი, „ის გამოყენებული იყო რომაელი იურისტის გაიუსის ინსტიტუციებში, მისთვის უცნობია ე.წ. ზო-

7 იქვე, გვ.6.

8 იქვე, გვ.6.

9 ლობჟანიძე, 2024, გვ.6.

10 Stein, 1999, p. 1

11 Nicholas, 1962, p. 3

გადი ნაწილი, ამასთან, კერძოსამართლებრივი მასალები დალაგებულია პირების, ნივთებისა და სარჩელების სახით“[12].

წიგნის ავტორი პატივისცემით მოიხსენიებს მრავალი ისტორიკოსის და იურისტის სახელს, ვინც ამ საკითხებზე იმუშავა და წვლილი შეიტანა „რომის სამართლის“ თანამედროვე გააზრებაში.

სტატია ისევ მინდა დავამთავრო ლადო ჭანტურიას სიტყვებით: „წინამდებარე კვლევის განსაკუთრებული ღირსებაა ის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო წყაროები და ლიტერატურა, რასაც ავტორი იყენებს საკითხების განხილვისას. არ არის გამოტოვებული თითქმის არც ერთი მკვლევარი, ვისაც კი რამე ღირებული შეუქმნია რომის სამართალზე. იოლი წარმოსადგენია, თუ რა მასშტრაბის კვლევა ჩაატარა ავტორმა ამ წიგნის მომზადებისას.

ხაზგასმით აღნიშვნას იმსახურებს გივი ლობჟანიძის მიერ ისეთი საკითხების კვლევა, რომლებიც, ჩვეულებრივ არ გვხვდება რომის სამართლის სახელმძღვანელოებში, მაგალითად, საფინანსო და სამხედრო სამართლის საკითხები.

რომის სამართლის გავლენა თანამედროვე სამართალზე განუზომლად დიდია. მეცხრამეტე საუკუნის ევროპული კოდიფიკაციები სწორედ რომის სამართლის საფუძველზე და მის მიხედვით ჩამოყალიბდა. იურიდიული მეცნიერების მეთოდებიც რომის სამართლის მრავალსაუკუნოვანი კვლევის შედეგად განვითარდა. რომის სამართლის რეცეფცია იყო უმნიშვნელოვანესი კულტურულ-ისტორიული პროცესი, რომლის ანალოგი კაცობრიობის ისტორიაში არ მოიძებნება“.

მიმაჩნია, რომ პროფესორ გივი ლობჟანიძის ნაშრომს, როგორც სამაგიდო წიგნს ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა, რადგანაც საკითხების გადმოცემის მანერა და დახვეწილი ენა „რომის სამართლის“ წაკითხვის პროცესს ნებისმიერი ადამიანისთვის სასიამოვნო საქმედ აქცევს, ხოლო რომის სამართლის სპეციალისტები კი საჭირო წიგნს შეიძენენ.

ბატონ გივის გულწრფელად ვუსურვებ ულევ სიხარულს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

Buckland, W. W. (1963). A *Textbook of Roman Law from Augustus to Justinian.*

Kunkel, W. (1973). A*n Introduction to Roman Legal and Constitutional History*. Oxford: Clarendon Press.

Nicholas, B. (1962). *An Introduction to Roman Law*. Oxford: Clarendon Press.

Stein, P. (1999). *Roman Law in European History.* Cambridge: Cambridge University Press./https://docs.yandex.ru/docs/view?tm=1753622316&tld=ru&lang=en&name=0521643724.Cambridge.University.Press.Roman.Law.in.European.History.May.1999.pdf&text=.Cambridge.University.Press.Roma

Zimmermann, R. (1996). *The Law of Obligations: Roman Foundations of the Civilian Tradition.* Oxford: Oxford University Press.

12 ლობჟანიძე, 2024, გვ.7.

Watson, A. (1995). The Spirit of Roman Law. Athens: University of Georgia Press.

Buckland, W. W. (1963). *A Textbook of Roman Law from Augustus to Justinian* (3rd ed.). Cambridge: Cambridge University Press.

Honoré, T. (2010). *Justinian's Codification.* Oxford: Oxford University Press.

van Caenegem, R. C. (1992). *An Historical Introduction to Private Law.* Cambridge: Cambridge University Press.

ლობჟანიძე გ. რომის სამართალი. საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი". 2024

ჟურნალი „ცხოვრება და კანონი", N 1-2 (66-67), 2005

ჟურნალი „იურისტი", N 13, თბ., 2025

მეტრეველი ვ. რომის სამართალი (საფუძვლები). თბ., 2005

ნადარეიშვილი გ. რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2001

გარიშვილი მ., ხოფერია მ, „რომის სამართალი", თბილისი, 2013.

Ketevan akhobadze

PRESENTATION OF GIVI LOBZHANIDZE'S BOOK "ROMAN LAW"

Abstract

The presentation of Professor Givi Lobzhanidze's book "Roman Law" was organized at the Faculty of Law and International Relations of the Technical University of Georgia.

The editor of the book is the famous lawyer, former chairman of the Constitutional Court, Professor Lado Chanturia, which confirms the qualitative standard of the book. And the authoritative specialists and reviewers - Roman Shengelia, Valeri Khrustali, Aleksandre Taliashvili, mean that the text is of a high academic level.

Professor Givi Lobzhanidze's "Roman Law" is dedicated to almost all the important institutions of Roman law, which have not lost their relevance even in modern law, such as, for example, the division of law into private and public law. In addition, the work corresponds to the established curricula and will be of great service to professors and teachers who teach Roman law courses in higher education institutions. The study is also of interest to researchers interested in Roman law.

Givi Lobzhanidze's research into issues that are not usually found in Roman law textbooks, such as financial and military law, deserves special mention.